ოქმი:**ო12. 3724242001**

თარიღი:**29/08/2024**

ოქმი N 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2024 წელი, 27 აგვისტო
ქ.ოზურგეთი
12.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ვაშალომიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. სარჯველაძე, ს. ქარცივაძე, ე. გორდელაძე, ნ. ღაჟონია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების შესახებ, ინფორმაციის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე, ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია, ონკოლოგიური ოპერაციები ძირითადად ფინანსდება სახელმწიფოსაგან, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ის ბავშვები, რომელთა მკურნალობა ვერ ხერხდება ქვეყნის კლინიკებში, სამკურნალოდ იგზავნებიან საზღვარგარეთ, ხდება ავადმყოფთა ინდივიდუალური დაფინანსებაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რჩება ნიუანსები, რომელიც ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. შემდეგ კონკრეტულად ისაუბრა მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლიდან გაწეულ დახმარებებზე.

ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ინფორმაციის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხი მიღებულ იქნას ცნობად და წარედგინოს საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი